საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ოთხშაბათი აგვისტოს 16 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძლიერთა მანერა

ად. სმიტი ამბობდა, რომ გაფიცვების დროს მუშების მიერ დიდი აურზაურის შექმნა აიხსნება იმ გარემოებით, რომ მუშების ძალა სუსტია კაპიტალისტების წინააღმდეგ და მათ სურთ პირველი შეტევის სიმწვავით მიაღწიონ გამარჯვებასო. არსებითად იგივე ითქმის დღეს ევროპისა და ამერიკის შესახებ. რამდენადაც პირველის მდგომარეობა გამოუვალია და კრიტიკული, იმდენად იგი ვერ ისვენებს და სასიკვდილო სარეცელზე სულ მოძრავი სხეულივით შფოთავს და ყვირის, ხოლო მეორე კი მსოფლიოს ოქროს დეპატრონებია, გიგანტი მექანიზმი შეუქმნია წარმოების, წყნარად განისვენებს და იშვიათად თუ გამოყოფს ფეხს საერთაშორისო პოლიტიკაში. მან კარგად იცის, რომ მის გარეშე და მისი ნების წინააღმდეგ არც ისე ადვილია მოქმედება და დამცინავი ღიმილით გადასცქერის მის მიერ არარად მიჩნეულ მსოფლიოს.

თუ ომის დროს ამერიკა წარმოებას ანვითარებდა მაშინ, როდესაც ევროპა წარმოებათა და წარმოების განადგურებას საშინელი სისწრაფით ანხორციელებდა, თუ შემდეგ ამერიკა „ერთა ლიგის" პროექტით წარსდგებოდა და მსოფლიოს მხსნელ ცისარტყელას დაუსახავდა, თუ შემდეგ იგი „ერთა ლიგას" თვით განაწესებდა სასიკვდილოდ, როგორც მისთვის გამოუსადეგარ ორგანიზაციას, ახლო წარსულშიაც იგი ყურით მიათრევდა ევროპის დიპლომატთ ვაშინგტონში, შემდეგ იგი შორიდან უცქერდა გენუასა და ჰააგის ფარსს და წინასწარ იცოდა, რომ ევროპელთა ხმაური მათი სისუსტის შედეგი იყო.

ამერიკას ვაშინგტონში სურდა ევროპის განიარაღების საკითხი გადაეწყვიტა და ზღვების თავისუფლება ელიარებინა, რაც მას მთელი მსოფლიოს ბატონად გახდიდა. ევროპამ იგრძნო მის წინაშე საფრთხე და დამფრთხალმა კანას მოაშურა, რომ ევროპის კონფერენციის საშუალებით თავი დაეფარა ამ „კეთილი მოვალისაგან", მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

ამ კონფერენციების დროს ამერიკამ დიპლომატიურად მოხდენილი უარი სთქვა ევროპის საქმეებში მონაწილეობის მიღებაზე და უწინასწარმეტყველა მას თავისი მომავალი, ხოლო როდესაც ევროპის მყვირალა დიპლომატნი „გატეხილი გობის" წინაშე შეჩერდა, ამერიკამ ბურჟუაზიული ჯენტლემენობით მოაგონა გონება—დაბნეულ ხალხს, რომ ვალის გადახდა საჭიროა.

ინგლისმა თავისი მხრით მიმართა თავის მოვალეებს და მოაგონა მათ ამერიკის „უდაო უფლებები" ვალის ანაზღაურების შესახებ.

რა გამოსავალი აქვს ევროპის ვალში ყელამდე ჩამჯდარ ქვეყნებს? იმედი ერთია—გერმანეთისა და რუსეთისაგან ვალების აღება. შესაძლებელია კი ეს? რა თქმა უნდა, არა. გერმანეთმა უკვე განაცხადა, რომ მას აღარ ძალუძს გადასახადის განაღდება და შეღავათებს ითხოვს, ხოლო რუსეთი ვარსკვლავოსანი ჯარის კაცს უჩვენებს მას, ვინც გაბედავს ვალებზე ლაპარაკს.

მაშასადამე ევროპის კაპიტალიზმი უკვე ყურ მოჭრილი მონაა ამერიკანიზმის. ამერიკანიზმის მიზანიც ეს იყო. როდესაც ამერიკას გერმანეთის დაცემა სურდა, მოკავშირეებს დაეხმარა და გერმანეთის დაცემის მიზანს ვადაჭარბებულად მიაღწია, როდესაც ინგლისის ჰეგემონიის დაცემას ცდილობდა, რუსეთისა და საფრანგეთს ამაგრებდა ინგლისის წინააღმდეგ: როდესაც წონასწორობის შექმნის გამო ეს ქვეყნები ერთმანეთის შეურიგებელ ძალებად წარადგინა ურთი-ერთ შორის და ამ ნიადაგზე ევროპის გამთელების პროექტი დაამსხვრია მან კრიტიკულ მომენტში „ცოტაოდენი თანხა" 12 მილიარდი დოლარი მოაგონა ევროპის მესვეურთ. ასეთია ძლიერთა მანერა.

რა იხსნის ევროპას? კაპიტალისტური ევროპისათვის გზა ხსნისა არ არსებობს. იგი უკვე ამერიკის კაპიტალის მონა გახდა. ეს პროცესი თავის განვითარებაში ატარებს მის საწინააღმდეგო და უარმყოფელ მოვლენას. ეს მოვლენა დამონებული ევროპის აჯანყებაა, როგორც ევროპიული კაპიტალიზმის, ისე ამერიკანიზმის წინააღმდეგ. მოვლენათა ობიექტიური წყობა ამ გზით მიდის და დღეს თუ ხვალ იგი თავის უკანასკნელ სიტყვას იტყვის.

ს.—ელი.

## ნარკვევი

გაზ. „პრავდის" № 135 მოთავსებულია წერილი—„შვეიცარიის „დემოკრატია". წერილი საყურადღებოა იმ მხრით, რომ გვიჩვენებს თანამედროვე ბურჟუაზიული „დემოკრატიის" სრულს გაკოტრებას. ჩვენ ვიცით, რომ შვეიცარია ბურჟუაზიას „ხალხოსნობისა" და „თავისუფლების" საუკეთესო მხარედ მიაჩნდა. და მართლაც „ხალხოსნური" მმართველობა და „დემოკრატიული" ფარისევლობა შვეიცარიაში ბევრი მუშისათვისაც თვალის ამხვევი და დამბრმავებელი იყო. მაგრამ ეს მაშინ, როდესაც მუშათა კლასი დადუმებული იყო და თავის კლასიურ ბრძოლას მკვეთრ გამოხატულებას არ აძლევდა, მაგრამ, როგორც კი საერთაშორისო ეკონომიური კრიზისის გამო დამოკიდებულება ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის გამწვავდა და უკანასკნელმა თავის ბრძოლას უფრო ორგანიზაციული და შეკავშირებული ბრძოლის ხასიათი მისცა, შვეიცარიის „ხალხოსნური" და „დემოკრატიული" მმართველობისაგანაც არაფერი დარჩა და ჩვენს წინ წარმოსდგა ბურჟუაზიის ნამდვილი სახე, რომელიც ჩადრს იქეთ იმყოფებოდა. ჩვენ დღეს ვუყურებთ შვეიცარიაშიც გაშიშვლებულ დიქტატურას, მაგრამ დიქტატურას არა მშრომელთა და ნამდვილი უმრავლესობისას, არამედ მემამულეთა და კაპიტალისტებისას. მოუსმინოთ „პრავდის" თანამშრომელს ამხ. ფრიდრიხ რაუხს: „როცა თანდათანობით მდგომარეობის გაუარესების გამო მუშათა ხმა იქცეოდა უფრო მრისხანედ—ბურჟუაზია აღშფოთებული იყო და იმას, ეპოტინებოდა, რომ ყოველივე ეს ხდება „დემოკრატიულს" ქვეყანაში, სადაც თვითოეულს აქვს უფლება დაიცვას თავისი უფლებანი „კონსტიტუციური გზით" და, რომ ამისთვის ამ „წესრიგის" დამრღვეველთა წინააღმდეგ უნდა იქმნას მიმართული მკაცრი ზომები.

ამ რიგად კლასიური ხასიათი შვეიცარიის „დემოკრატიისა" გამოაშკარავდა მთელის სიცხადით. ის უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც რომ საერთო გაფიცვის გამო იყვნენ ჩამწყვდეულნი ციხეში არა მარტო შვეიცარიელი კომუნისტი პლატენი, არამედ რევოლიუციონერების ნიღაბის მატარებელნი მაშინ ს. დ. გრიმი და შნეიდერი. გაფიცვის დროს შვეიცარიის ბურჟუაზიამ პირველად დაინახა, თუ რამდენ სახიფათოთ მისთვის ორგანიზაციული და შეგნებული პროლეტარიატი. ის ამის გამო გაფიცვილებით ებრძოდა პროლეტარიატის გამოსვლებში „ანტი სახელმწიფოებრივ" ნიშნებს. მაგრამ მაშინ პროლეტარიატის საერთაშორისო მასშტაბში სიმტკიცის გამო ბურჟუაზია ვერ შედგა და წასულიყო უფრო შორს. ის იძულებული იყო პირიქით ფორმალურად ეცნო 8 საათის სამუშაო დღე"...

ბურჟუაზია დროს უცდიდა და, მისი აზრით ასეთი დრო მისთვის უკვე დადგა: „მას შემდეგ რა რომ იქმნა მიღებული კანონი სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ, 8 საათის სამუშაო დღეზე ლაპარაკი ზედმეტია" ბურჟუაზია გადავიდა თავდასხმაზე პოლიტიკურადაც: „იუსტიციის მინისტრმა გებერლინმა შეიტანა კანონ-პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ციხეში მოაქციოს ყველა, რომელიც გამოსთქვამს „ზეპირად ან წერილობით" იდეას „რესპუბლიკის აპარატის კეთილი მოწყობაში".

ჩვენ ვუყურებთ ამ რიგად, რომ მთელი ხაზით, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში არსებობს წესი სახალხო მნიშვნელოვან კანონების კენჭის ყრის წესი, რომლისგანაც სინამდვილეში კვალიც არ დარჩა, დემოკრატიული საარჩევნო ბიულეტინი გადაიქცა მხოლოდ უბრალო ფურცლად კაპიტალისტური წესწყობილების მშვენიერების გამოსახატავად.

ასეა თვით „სამოთხურ" „დემოკრატიულ" შვეიცარიაშიც. ასეთ სიტყვებს იძლევა მუშათა კლასისათვის კულტურულ ქვეყნებში კოხტა ბურჟუაზიული „თავისუფლების" ქვეყანა—შვეიცარიაც კი.

ფარდა ჩამოხსნილია, საჭიროა სინამდვილეს თვალები გაუსწოროთ. ამ სინამდვილის გაგებას თანდათანობით ბრძოლით და წამებით იძენს ევროპა-ამერიკის მუშათა კლასი.

## ინგლისის ნოტა ვალების შესახებ

### ინგლისს ერგება 3, 4 მილიარდი გ. სტ. ინგლისის ვალი შეერთებულ შტატებისადმი უდრის 850 მილიონ გ. სტერლინგს.

ლონდონი. აგვისტოს 2 ს ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა ყველა მოკავშირე მთავრობებს ნოტით, რომელიც ეხება საერთაშორისო დავალიანების საკითხს. ამ ნოტის შინაარსი შემდეგია:

თუმცა ბრიტანეთის მთავრობას არ ჰქონდა თავდაპირველად განზრახვა აღეძრა ამ ჟამად საერთაშორისო დავალიანების საკითხი, მაგრამ უკანასკნელი ამბები არ აძლევენ მას ამ მხრივ სხვა საშუალებას. საერთო ჯამი სამხედრო ვალებისა, რომელიც ერგება დიდ ბრიტანეთს, პროცენტების ჩაუთვლელად, შეადგენს დაახლოვებით 3.400.000.000 გირვანქა სტერლინგს, რომლიდან გერმანიას მართებს 1.450 000.000 რუსეთს 650.000.000 და მოკავშირეებს 1.300.000.000 მეორე მხრივ, ინგლისს მართებს ამერიკისა—850.000 000 გირვანქა პროცენტიანად, დაწყებული 1919 წლიდან, ბრიტანეთის მთავრობა მზად იქნებოდა ხელი აეღო ვალებზე, რომელიც ინგლისს ერგება მოკავშირეთაგან სესხის სახით, და გერმანიისაგან, ანაზღაურებათა სახით, რომ ეს იყოს პრობლემის საერთაშორისო მაშტაბით გადაჭრის საერთო გეგმის ნაწილი. მაგრამ ამერიკის მთავრობამ, რომელიც მოქმედობს თავის უდაო უფლებების მიხედვით, მოითხოვა ინგლისისაგან პროცენტების გადახდა 1919 წლიდან, ამერიკისადმი ინგლისის ვალის უზრუნველყოფის და ამ ვალის დაფარვის მიზნით 25 წლის განმავლობაში. ბრიტანეთის მთავრობა უდავოდ თვლის ასეთ მოთხოვნას და მზად არის გადაიხადოს თავისი ვალდებულებანი; მაგრამ სრულიად ცხადია, რომ მას არ შეუძლია ამის ჩადენა, თუ ამავე დროს არ შესცვლის თავის პოლიტიკურ კურსს, რომლის გაგრძელება მას უნდოდა სხვა პირობებში.

ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია ამერიკისადმი ინგლისის დავალიანების საკითხი განიხილოს როგორც კერძო საქმე, რომელშიც დაინტერესებული არიან მხოლოდ ინგლისი და ამერიკა, ვინაიდან ეს საკითხი დაკავშირებულია მთელ რიგ ურთიერთ ვალდებულებებთან, რომლებშიც ინგლისი გამოდის ხან როგორც კრედიტორი, ხან როგორც მოვალე. და ამიტომ, რამდენად ინგლისისაგან მოითხოვენ მისი, როგორც მოვალის უდავო ვალდებულებების ასრულებას, მას, როგორც კრედიტორს არ შეუძლია უარყოს თავისი არა ნაკლებ უდავო უფლებები. ბრიტანეთის მთავრობა უდიდესი უკმაყოფილებით ცვლის თავის პოლიტიკას ამ საკითხში, მაგრამ მოთხოვნათა პოლიტიკა მოვალეების მიმართ მხოლოდ მაშინაა მისაღები, როცა ის ტარდება ყველა შემთხვევებში გამოუკლებლად. ბრიტანეთის ხალხი შევიწროებულია მეტად მძიმე გადასახადებით და უმუშევრობით. ამიტომ ბრიტანეთის მთავრობა, სამწუხაროდ, იძულებულია თხოვოს საფრანგეთის და სხვა მოკავშირე მთავრობებს მიიღონ ზომები მათი სესხის რაც შეიძლება უფრო წარმატებითი ლიკვიდაციისათვის ინგლისში. ბრიტანეთის მთავრობა იდეალში ისწრაფვის საერთაშორისო დავალიანების სრული გაბათილებისაკენ. მაგრამ ვინაიდან ეს დღევანდელ მომენტში განუხორციელებელია, ბრიტანეთის მთავრობას არ სურს გამოიყენოს ეს მდგომარეობა და მიაღწიოს რომელიმე მხარისათვის არა დამაკმაყოფილებელ შეთანხმებებს, ამიტომ ბრიტანეთის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არა აქვს განზრახვა მოითხოვოს თავის მოვალეებისაგან იმაზე მეტი, რაც მას მოუხდება გადაუხადოს თავის კრედიტორებს.

შემდეგ ნოტა აღნიშნავს ინგლისის მთავრობის სურვილს უარყოს თავის უფლებები გერმანიის ანაზღაურებაზე „ბრიტანეთის მთავრობა,—ნათქვამია ნოტაში,—წინააღმდეგობას არ იძლევა გაბათილებულ იქნას გერმანიის ვალდებულებანი სხვა მოკავშირეების მიმართ, მაგრამ წინადადებას იძლევა, მხოლოდ ჩამოიწეროს გერმანიის ვალები ინგლისის მიმართ, ღრმად დარწმუნებული, რომ მსოფლიო ეკონომიური ნგრევა გამოწვეულია საქმეთა ეხლანდელი ვითარებით ევროპაში". ეს ნოტა შედგენილია და ხელმოწერილი ბალფურის მიერ.

## მსოფლიოს ფერისცვალება

უდიდეს ეპოქაში გვიხდება ცხოვრება: მომენტი, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ და განვიცდით მთელი თავისი სირთულითა და სიმწვავით, იშვიათია კაცობრიობის დაუსაბამო წელთა სრბოლაში... თითქოს იდუმალი, მაგრამ განუსაზღვრელი თავის ლტოლვაში ძალნი, ბოროტი თუ კეთილი, ატრიალებენ სამყაროს.

მსოფლიო ომით გამოწვეული ცხოვრების უკანასკნელი მოვარდნა თავის კალაპოტიდან, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კიდევ ბევრი დრო გავა, სანამ ეს ცხოვრება ნორმალურ მსვლელობის გზას დაადგება. ამ ჟამად ჩამოვარდნილი სიწყნარე როდი მოასწავებს ბევრისათვის სანატრელ სიმშვიდის გამეფებას. ცხოვრების წიაღში ხშირია ასეთი პაუზები და ყველაზე მცირე ეს უკანასკნელი იქნება. სუფევს დუმილი, მაგრამ თუ ჩავაკვირდებით, იგი მრავლის მეტყველია. იგი მაჩვენებელია ერთის მხრით საშინელი დაღლა-დაქანცვის, მაგრამ იმავე დროს გონების ამოძრავების...

ისტორიას არ ახსოვს ომის ასე აღვირახსნილად წარმოებული ვაკხანალია, როგორც მე-20 საუკუნის კარის ბჭეებთან. პირისხლიანმა მოლოხმა ოთხი წლის განმავლობაში მოზღვავებული სისხლის მდინარით შეღება ეს კარები და უგვანო კაცყოფილების ხარხარით სისხლისავე გვირგვინით შეამკო კაცობრიობის „კულტურა", მისი „ზნეობა", „წმიდათა-წმიდა" და მთელი მისი „ადამიანობა"... ასეთი არა ნახული ტრიუმფი მოუწყო „განათლებულმა" ევროპამ ომის ღმერთს და ომის გამაყრუებელ ღრიანცელში შთაინთქა ანტიმილიტარისტულად განწყობილი ინტერნაციონალის და ყველა სოციალისტურ ორგანიზაციათა სუსტი კნავილი. რაღა გასაკვირველია თუ ევროპის პროლეტარიატმაც დაჰკარგა სოციალისტური კეთილ-გონიერება, მოხდა დროებითი დაბნელება მისი გონების...

საკითხის მარტივად დაყენებით, ერთი ქვეყნის იმპერიალიზმი ბაზრის დაპყრობას და გაფართოების საქმეში შეეჯახა მეორეს; სხვა და სხვა ქვეყნის იმპერიალისტთა ჯგუფებმა აამხედრეს გონიერ ხალხთა მილიონები და გამართეს ეს საზიზღარი სასაკლაო, რომელმაც შეიწირა უამრავ ადამიანთა სიცოცხლე... მაგრამ ისეთი დიდი ფენომენი, როგორიც ომია, თავის წიაღში ატარებს სხვა მეტად რთულ ფსიქოლოგიურ მიზეზებსაც... მსოფლიოს ბნელ ხვეულებში ხდება ხშირი გაელვება ერთგვარ განცდათა მრავალსახიან ინსტიქტებით დატვირთულ მომენტის სიმთვრალე და გაგიჟება, საიდანაც იწყება ასე შეზავებულ გრძნობის თავბრუდამსხმელი როკვა, რომლის აკომპანიმენტზე მძლავრად სცემს ჩოგანს, თუ გნებავთ თვით იმპერიალიზმი, იტაცებს, ითრევს და ათამაშებს ხალხებს და ერებს... ასეთი იყო ევროპის უკანასკნელი „კონცერტიც", რომლის შეწყვეტასაც მოჰყვა დონემიხდილი ადამიანის გონებაში შავათ მღელვარე იჭვების გაღვიძება: რისთვის ან როდემდის!? როდემდის უნდა თელოს გააწამებმა კაცობრიობამ გოლგოთის გზები?

ცხადია, ჯერ კიდევ არ ამოწურულა იმპერიალიზმის რესურსების წყობი; განზე სდგანან და ქშინავენ სისხლ-მოწყურებული გოლიათები; დაღლილებიც ისვენებენ ხელახალ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მოლოდინში. მაგრამ უკანასკნელი დიდი ომი იყო მაინც პრელიუდია სხვა ხასიათის ახალ ომებისა, რომელნიც ჩვენ თვალწინ გადიშლებიან. ის იყო ამშლელი იმ წყლულ-იარებისა, რომლითაც მოვლილია და დაავადებულია კაცობრიობის მთელი სხეული და რომელთა მიყუჩება მანამ არ მოხდება, სანამ არ იქნება გამონახული ნამდვილი დამაამებელი მალამო; ამ ტკივილების დაშუშების სხვა უბრალო პალიატიური საშუალებები სამუდამოდ უარყოფილნი უნდა იქნეს, როგორც დროული და შემდეგში ტანჯვით გამაასკეცებელი. ამას ადასტურებს რუსეთის რევოლიუცია, როგორც წინამორბედი მსოფლიოს სხვა ადგილებში ჰექა-გრგვინვისა, რაიც არც ისე მალე დაიწყო, მაგრამ არც ისე შორს არის... და ყოველი რევოლიუცია ჩვენ გვესმის, როგორც არტახები მგმინავ სულის წუხილი და მედგარი გაბრძოლება კაცთა ცხოვრების სიმახინჯესთან, რომელიც სწამლავს ამ სულს და იგიც არ დასცხრება, არ მოისვენებს, სანამ ეს სიმახინჯე არ აღიკვეთება ყველა ატრიბუტებით...

ჩვენ მწვავედ განვიცდით ეროვნული ჩაგვრის სიმახინჯეს და მთელი მე-XIX საუკუნეც ხომ ყვირილი იყო აგონიაში მყოფ დამონებულ ერების!? მაგრამ მას შემდეგ იმპერიალიზმის ლოჯი მოცვდა, მისი გახრწნილი გვამი შიგნიდან დაისერა და ერებმა ჰპოვეს გამოსავალი. ამის რელიეფურ სურათს თვითმპყრობელობის რუსეთი იძლევა და გზაც იქითა აქვთ ყველა იმპერიალიზმით გაზრდილ-გახარებულ სახელმწიფოებს; კაცობრიობის ბნელში მთვლემავი ნაწილი იღვიძებს და ამ გაღვიძებულ გრძნობას ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ეროვნულად განთავისუფლებული ხალხთა მასსები მთელის არსებით ჩაებმებიან სოციალურ გარდაქმნის ფერხულში, რომელიც უკვე დაიწყო. ხოლო, როდესაც ჩვენ ვოცნებობთ ადამიანთა შორის ჰარმონიულ ურთიერთობაზე, მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების დამყარებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს მრავალი თითქმის შეუცნობელი მხარე კაცთა ფიზიკურ და ფსიქიურ ცხოვრებისა, რომელიც ომმა გამოამჟღავნა.

ჩვენი ცხოვრების პოლიტიკო-ეკონომიურ პირობების გარდაქმნასთან ერთად, კაცობრიობა უნდა გარდაიქმნას და აღსდგეს სულიერ-ზნეობრივად იმ დაცემა-

გათახსირების შემდეგ, როცა მან დაჰკარგა მორალური დასაყრდენი და თავის გულში დემონი დაბინავა. მანამდის კი ყოველთვის ურყევი და სიცხადით განმტკიცებული იქნება დებულება: Homo homini lupusest, როგორც კერძოთ ადამიანებში, ისე ხალხთა შორის... დღ ყველა უნდა მოსცილდეს ამ გაგულქვაების პერიოდს, როცა ადამიანები უჯულო და უსულო მანქანებით ქვეული მანქანებივით დაეხეტებიან და მთელი სიცოცხლე მხოლოდ საზღვარ დაუდებელ ეგოიზმში ხმაურობს... ეს არის კაცობრიობისათვის უსაშინელესი ტრიარხიის, სისხლში მოსვრილი კაპიტალიზმ იმპერიალიზმის და სინდის დაკარგული ბურჟუაზიის უმზგავსო მემკვიდრეობა, მათგან ნაწვეთები შხამი და ბალღამი ადამიანის სხეულში. და განა შეიძლება ადამიანმა უსირცხვილოთ და უტიფრად ატაროს სახელწოდება ადამიანისა და სამყარო მრისხანე საპყრობილეთ არ ეჩვენებოდეს სანამ, ეს სამ თავი-გველით ადსავსე გენია ჰბატონობს?.. ამიტომ ყველაზე მწვავე, ყველაზე ამაზრზენი მეოცე საუკუნის დასახიჩრებულ ინდივიდიუმის კვნესაა. იგი გრძნობს კაცობრიობის შეუგრძნებელ ტკივილებს, ჰხედავს გულის ამრევ სიმახინჯეს და თავის მხრებით დაატარებს უმძიმეს სევდის ლოდს. და ინდივიდუუმი ასეთ წამების ჯვარზე გაკრული ნაზარეველის სევდით გულდათუთქული უცქერის ამ უთავო ბუმბერაზს, უსახო კოლექტივს, როგორიც არის კაცობრიობა; იგონებს მის მიერ სისხლის ნთხევით და ძვლების მოკვნეთით განვლილ ისტორიის მთავარ ეტაპებს, როცა სხვა და სხვა ვარიაციის ბოროტ ინსტიტუტში ითელებოდა მისი პირადი ღირსება, იბღალებოდა უწმინდესი გრძნობები, ილახებოდა ადამიანური უფლებები და სიცოცხლეც მის ხელთ არ იყო; შემდეგ მსოფლიო ომი, სადაც ინდივიდი მოისპო, სიცოცხლის დირებულება გაჰქრა... და ეს კოშმარი ჰქმნის მასში უსაზღვრო უკმაყოფილებას ბრძოლის ქინით ალგზნებულ სულიერ განწყობილებას, რომლითაც სურს მას მსოფლიოს ქაოსში და ბრმა მექანიურ-სტიქიურ პროცესში გონების სხივ მოკლებული სიმწყობრე და ჰარმონია შეიტანოს.

ამიტომ ყოველი სოციალისტური მოძღვრება ემზგავსება ნგრევა-შენებას, კაცობრიობის მშფოთვარე სული ამსხვრევს და ჰქმნის ახალ ფორმებს, სადაც უნდა ჰპოვოს საუცხოვო ბინა და მშვიდობიანი ნავთსაყუდელი.

ამ რიგათ მოხდება ცხოვრების ნორმალ კოლეიდან სრული განდგომა, ვინაიდან ამ „ნორმალობაში“ ისახება უკიდურესი ანომალია. ამას მიხვდება კაცობრიობა, როცა იგი სისხლის გალებით ქანც გამოლეული მოაბრუნებს მაშინ უკვე დაწმენდილ თვალებს საკუთარ სულის სიღრმისკენ...

ვლ. გიორგობიანი.

# ლონდონის თათბირი

**რაზედ შეთანხმდნენ.**

**ნაუენი 14 აგვისტო.** ლონდონის თათბირი სცდილობს მიაღწიოს საკომპრომისო შეთანხმებას საფრანგეთსა და ინგლისს შორის. საერთო თვალსაზრისი როგორც სჩანს მიღწეულია შემდეგ საკითხებში. 1) ექსპორტის შემოსავლიდან 26 პროც.-იანი გადარიცხვა, 2) გერმანიის საბაჟოების შემოსავლის კონფისკაცია საკონტრიბუციო კომისიის განკარგულებაში თუ გერმანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებას. 3) გერმანიის სახელმწიფო ტყეების და ნახშირის მაღაროების კონფისკაცია და გაყიდვა, იმ შემთხვევაში თუ გერმანია წესიერად არ მიაწოდებს მოკავშირეებს ნახშირს და ხე-ტყის მასალას., 4) გერმანიის სახელმწიფო ბანკზე კონტროლის დაწესება და 5) საკონტროლო კომისიის ბერლინში ყოფნა ბანკნოტების დამოწმების გამოშვების და გერმანიის ბიუჯეტისათვის კონტროლის გასაწევად.

**საფრანგეთის პრესის აზრი.**

**ბოოდო. 14 აგვისტო.** ლონდონის თათბირის გადაწყვეტილების გამო, რომელიც მოხდა საფრანგეთის „წინადადებისამებრ“ გაზეთი „ჟურნალი“ ამბობს: „რათ უნდა გადაიდოს ვადა ამ გადაწყვეტილების გამოსატანად? ვადის გაგრძელება მაშინ იქნებოდა გასაგები, თუ მოსალოდნელი იქნებოდა გარემოებანი, რომელიც შესცვლიდა იმ პირობებს, რომელშიაც ხდება საკითხების განხილვა. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება, რადგან ორი თვის შემდეგაც ვალების საკითხი სრულიათაც არ შეიცვლება, რაც თავის მხრივ გამოაშკარავდება არჩევნების შემდეგ, რასაც არ შეუძლია შესცვალოს საკითხი გერმანიის კონტრიბუციის შესახებ. ამავე დროს გერმანიის მდგომარეობა დანამდვილებით გაუარესდება, და გამარტივების ნაცვლად ვადის გადადება კიდევ უფრო გაართულებს საკითხს.

**უკმაყოფილონი არიან ლოიდ-ჯორჯის.**

**ბორდო 14 აგვისტო.** პარიზის გაზეთები აღნიშნავენ, რომ თათბირი ლოიდ-ჯორჯის დაუთმობლობის გამო იმყოფება ჩიხში. პირიქით, პარიზის გაზეთების ცნობით, პუანკარე უფრო შემარიგებელ პოზიციაზე სდგას, რასაც ამტკიცებს საბაჟო კორდონის დაწესებაზე და გერმანიის ქიმიურ წარმოებაში ფრანგების განაწილებაზე.

# გერმანიის ამბები

**როგორც იქნა შეთანხმდნენ.**

**ნაუენი. 13 აგვისტო.** გამოქვეყნებულია სპეციალური მოხსენება ბავარიისა და ბერლინის მთავრობის შორის მომხდარ მოლაპარაკების დამაკმაყოფილებელ შედეგების შესახებ. ბავარია მზად არის წაიღოს უკან დადგენილება ცალკე კანონმდებლობის შესახებ, რითაც გერმანიის მთლიანობა არ ირღვევა. გერმანიის მთავრობამ თავის მხრივ აღუთქვა, რომ ის არ დაარღვევს ბავარიის სუვერენიტეტს ხსენებულ საკითხებში.

**შეთანხმება მოწონებულია.**

**ბოროო 14 აგვისტო.** მიუნხენის გაზეთების ცნობით, ბავარიის კაბინეტმა მოიწონა შეთანხმება ბერლინის მთავრობასთან.

**ჰარდინგის მილოცვა.**

**ნაუენი. 14 აგვისტო.** ამერიკის პრეზიდენტმა ჰარდინგმა დეპეშით მიულოცა პრეზიდენტ ებერტს გერმანიის კონსტიტუციის წლის თავი. ებერტმა დეპეშითვე უპასუხა მილოცვაზე.

**შეიდემანზე თავდასხმის გამო.**

**ნაუენი. 14 აგვისტო.** შეიდემანზე თავდასხმის მოწყობაში შემჩნეული ორივე დატუსაღებულნი გამოჰყავთ თავდასხმის მოწყობაში.

# უცხოეთი

**მეშადრო...თა კონგრესი**

**ნაუენი 14 აგვ.** მეწადროეთა კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ფრანკფურტში, 11 აგვისტოს ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია გერმანიის მიერ მიწოდებული ნახშირის რაოდენობის შემცირების შესახებ.

**გთხოვთ ნუ შესწუხდებით**

**ბორდო 14 აგვ.** ჰააგიდან მიღებულ ცნობებით ყოფილმა გერმანიის კრონპრინცმა მიმართა თხოვნით ბერლინის მთავრობას გერმანიის მისიის საშუალებით, ნება დართონ მას გერმანიაში დაბრუნებაზე, როგორც უბრალო მოქალაქეს. გერმანიის მისიამ უპასუხა, რომ ეს თხოვნა არა დროულია.

**ხელგაშლილად ცხოვრობენ**

**ბორდო 14 აგვ.** ჰოლანდიის ავტორიტეტულ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ყოფილი გერმანიის სამეფო სახლობა, რომელიც ეხლა იმყოფება ჰოლანდიაში განიცდის მატერიალურ დაბრკოლებას, ამ დაბრკოლებათა მიზეზია გერმანიის მარკის კურსის დაცემა.

**მეგობრები—მოკეთენი**

**ბორდო 14 აგვ.** პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნარატოვიჩმა განუცხადა გაზეთ „მატენის“ თანამშრომელს, რომ პოლონეთის საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა ვერსალის ხელშეკრულებაზე და თანდათან განვითარებულ ერთობაზე საფრანგეთთან.

**რიგის ხელშეკრულობის საფუძველზე**

**ბორდო 14 აგვ.** პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნარატოვიჩმა პოლონეთის რუსეთთან დამოკიდებულების საკითხის შესახებ განაცხადა გაზეთ „მატენის“ თანამშრომელს, რომ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველს რუსეთის მიმართ წარმოადგენს რიგის ხელშეკრულების შესრულება.

**პოლონეთი და აღმოსავლეთი გალიცია**

**ბორდო 14 აგვ.** ... მთავრობამ ... კომისიას ... დებულების პროექტს აღმოსავლეთ გალიციის მმართველობის შესახებ.

**მცხოვრებთა რაოდენობა**

**ბორდო 14 აგვ.** პოლონეთის სტატისტიკური ცნობებით პოლონეთის მცხოვრებლების რაოდენობა თუ მივათვლით ზემო სილეზიას და ვილნოს ოლქს 27 მილ. 160 ათას კაცს, თვითეულ კილომეტრზე მოდის 70 კაცი.

**მორატორიუმი გერმანიისათვის**

**ბორდო 14 აგვ.** დღის განმავლობაში გაგრძელდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გერმანიისათვის მორატორიუმის მინიჭების შესახებ. გაზეთ „ფორვერტსის“ დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობით მდგომარეობა უცვლელია.

**მუშების ბრძოლა**

**ბორდო 14 აგვ.** ჰოლანდიის მტვირთავ მუშების გაფიცვები რეინზე გრძელდება და იგი გავრცელდა აგრეთვე გერმანიის მტვირთავებზე.

**სტამბოლის ავანტიურა-შეთანხმება**

**ბორდო. 14 აგვ.** მოკავშირეების უმაღლესი კომისიები სტამბოლში აცხადებენ, რომ საბერძნეთთან მოხდა შეთანხმება ფრაკიის და მოკავშირეების მიერ დაკავებულ ხაზის შუა ნეიტრალური ზონის დაწესების შესახებ.

**ინგლისის მუქარა.**

**ბორდო. 14 აგვ.** საბერძნეთის გაზეთი „ელეფტერონ ტიპოს“ აცხადებს რომ ინგლისის წარმომადგენელმა ათინაში გადასცა საბერძნეთის მთავრობას ბალფურის ნოტა, რომელშიდაც ურჩევს საბერძნეთს თავიდან აიცილოს შეტაკება მოკავშირეების ჯარებთან ჩატალჯის რაიონში, რადგანაც ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება საბერძნეთისათვის.

**ირლანდია**

**ნაუენი 14 აგვ.** აჯანყებულების მიერ ირლანდიის ნაპირზე კაბელის გაწყვეტის გამო შეფერხებულია შეერთებულ შტატებისათვის ინფორმაციის მოწოდება ევროპის ამბების შესახებ. და აგრეთვე ხელს უშლის ნორმალურ საბანკო ოპერაციებს.

**ბორდო 14 აგვ.** მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ხორბლეულის სავაჭრო ცენტრი კლონმელი.

**ბორდო. 14 აგვ.** კორკის დატოვების დროს, აჯანყებულებმა რამდენიმე ადგილას ცეცხლი გააჩინეს.

# დამოუკიდებელ პარტიის პოლიტიკის გარშემო

(დოგმატიური სოციალიზმის კრიზისი.)

„Центризм, как международное направление в рабочем движении, разлагается на наших глазах.“

Г. Зиновьев

1

ამ ჟამად ვენის ა. წ. ორნახევარი ინტერნაციონალი დიდ კრიზისს განიცდის, რომელსაც შეუძლია თ ნ გაიტანოს ეს ორგანიზაცია. საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციების ცხოვრებაში არის ხოლმე დიდი კრიზისები, ძლიერ ხშირად ისინი განიცდიან კრიტიკულს მომენტებს, მაგრამ ეს მდგომარეობა ყველგან და ყოველთვის არ იწვევს ამ ორგანიზაციის სიკვდილს. არის პირობები, როდესაც კრიზისი აუცილებელი საჭიროება ხდება ორგანიზაციის გასაჯანსაღებლად, მისი მოქმედებისა და აქტივობის გასაფართოებლად. ასეთი კრიზისი სასარგებლოა იმდენად, რამდენათაც ის ხელს უწყობს მთელი სხეულის წარმატებასა და მის არსებობას მტკიცე საფუძვლებზედ დააყენებს. ასეთი კრიზისი განიცადა ამ ერთი წლის წინად კომინტერნმა, როდესაც კომუნისტური გამოსვლა გერმანიაში 1912 წ. მარტის თვეში დამარცხებით დამთავრდა. ამ გამოსვლას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა, რამაც გამოიწვია კრიტიკული მდგომარეობა მთელს კომუნისტურს პარტიაში და ხელმძღვანელ წრეებიდან რამოდენიმე წევრების (ლევი და სხვა) განდევნა.

კომინტერნის ცხოვრებაში იყო სხვა მომენტებიც, რომელნიც მისს კრიზისს გამოხატავდნენ. ეს შეეხება იმ გარემოებას, როდესაც კომპარტიაში შეიპარნენ ცენტრისტული ელემენტები და ამით შეიტანეს პარტიაში წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია და პასივიზმი. პარტიისათვის აუცილებელი შეიქმნა ასეთი ელემენტების დაფერთხვა ორგანიზაციიდან და ამ გარემოებამ თავის თავად გამოიწვია კრიზისი პარტიაში. მაგრამ ეს კრიზისები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ კომინტერნის გასაჯანსაღებლად და მისი მებრძოლი რაზმების გასამაგრებლად. ასეთი კრიზისი წინასწარი პირობა იყო კომპარტიის ასაყვავებლად და მართლაც ამ კრიზისების ერთი წლის თავზედ ჩვენ საქმე გვაქვს კომინტერნის სექციების გამაგრებასთან მთელს მსოფლიოში.

იყო კიდევ ერთი მომენტი კრიზისისა კომინტერნის მოღვაწეობაში, რომელიც ღირსია აღნიშვნის, ეს ის მომენტია, როდესაც კომინტერნმა წამოაყენა ახალს საერთაშორისო პირობებთან შეფარდებული ახალი რევოლიუციონური ტაქტიკა პროლეტარიატის ფრონტის გაერთიანების შესახებ. როგორც ვიცით, 1918—20 წლების რევოლიუციონურ ენტუზიაზმის პერიოდი შესცვალა კაპიტალის საერთო შეტევამ მუშათა კლასის მიმართ და თვით პროლეტარიატმა რევოლიუციონური აღფრთოვანების ცეცხლი მინელდა. ბურჟუაზია გამაგრდა პოლიტიკურად თითქმის ყველგან და თავდაცვიდან თავდასხმაზედ გადავიდა; შრომის ხელფასის შემოკლება, სამუშაო დღის გადიდება, უმუშევართა გამოსვლები და მრავალი სხვა შედეგი იყო სწორედ ამ შემოტევისა. ამ ახლად შექმნილმა გარემოებამ გამოიწვია ახალ ტაქტიკის შემუშავება და მუშათა რიგების, განურჩევლად მიმართულებისა, გამაგრება, მათი გაერთიანება და ამ გვარი სხით მათი დაპირისპირება კაპიტალის წინაღმდეგ. ამ გაერთიანების პროცეს ში გადამწყვეტ როლს თამაშობდა პროლეტარიატის ყოველდღიური მოთხოვნილებანი, მისი რეალური საჭიროებანი. ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიის მოვალეობა იყო ისეთი ტაქტიკა გამოემუშავებია, რომელიც საშუალებას მისცემდა პროლეტარიატს ეს ყოველ დღიური მოთხოვნილებანი ლოღიკურად დაეკავშირებინა სოციალური რევოლიუციის მიზნებისათვის და შეემზადებინა ნიადაგი მშრომელთა დიქტატურის დასამყარებლად. პროლეტარიატის გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკა სწორეთ ასეთ მიზნებს ემსახურებოდა და მის მთავარ დანიშნულებას შეადგენდა დაახლოვება პოლიტიკური ძალა-უფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლისა ფართო მშრომელი მასების მოძრაობაში ჩაბმით.

ამ ახალ ტაქტიკის ცხოვრებაში გატარებამ გამოიწვია ერთგვარი კრიზისი კომუნისტურს წრეებში. ძველი რევოლიუციონური ტაქტიკიდან ახალზედ გადასვლა და მისი მიხედვით სამოქმედო გზის გამომუშავება არც ისე ადვილი საქმე შეიქმნა და კრიზისიც სწორედ ამ ნიადაგზედ აღმოცენდა. ახალი ტაქტიკის საჭიროებისა და უპირატესობის დამტკიცება საჭირო შეიქმნა არა მარტო ფართო პროლეტარულ წრეებისათვის, არამედ თვით კომინტერნის სექციებისა და წევრებისათვის. მაგრამ საკითხი შესაფერისად გადატანილ იქმნა და დღეს ყველასათვის ნათელი ხდება საჭიროება გაერთიანებული ფრონტისა და ამ ლოზუნგის გარშემო თავს იყრის ფართო პროლეტარული მასები.

როდესაც ასეთი კრიზისები წამოიჭრებოდენ კომინტერნის მოღვაწეობაში, მოწინააღმდეგე პარტიები და ჯგუფები, განსაკუთრებით ორნახევარ ინტერნაციონალიდან, ქვეყანას არწმუნებდნენ კომინტერნის დაშლისა და მისი აღსასრულის შესახებ. ცნობილი ლ. მარტოვი თავის „სოციალისტურ უწყების“ ფურცლებზე ყოველს ასეთს შემთხვევაში მორიგი პამფლეტებით უმასპინძლდებოდა მკითხველ საზოგადოებას და არწმუნებდა მათ, რომ დღეს თუ არა, ხვალ კომინტერნი დაასრულებს თავის არსებობას და მუშათა მოძრაობა განიკურნება საბოლოოდ ბოლშევიკურს ავადმყოფობისაგანო. მაგრამ ფაქტიურმა მდგომარეობამ ლ. მარტოვის დებულებების საწინააღმდეგო შედეგები მოგვცა და ზემოდ აღნიშნულმა კრიზისებმა გამოიწვია კომინტერნის არა დასასრული, არამედ მისი გაჯანსაღება. ამის შესახებ გარკვევით მეტყველებენ თანამედროვე საერთაშორისო ფაქტები და მოვლენები.

მაგრამ ეს ფაქტები, ერთის მხრით თუ გვეუბნებიან კომინტერნის გაძლიერებაზე, მეორეს მხრით, გამოხატავენ კომინტერნის საწინააღმდეგო ბანაკის განუკურნებელი კრიზისით დაავადებას სწორედ ის ორგანიზაცია, საიდანაც კომინტერნის წინააღმდეგ ყველაზე მეტი შხამი ითხზებოდა მის დასაშლელად, დღეს უკურნებელ სენს შეუპყრია, რომლიდანაც მას აუცილებლად მოელის სრული განადგურება. ლ. მარტოვი ერთი ხელმძღვანელთაგანი და გენერალისიმუსი არის ორნახევარი ინტერნაციონალისა, რომლის მომავალსა და გამარჯვებაში იგი უეჭველად დარწმუნებული იყო. ცნობილი რუსის მენშევიკი სხვის ოჯახში ეძებდა დაავადებულთა და დასნეულებულთ, რომ თავისი პოლიტიკური ექიმბაშობა გამოეჩინა და სხვისთვის პოლიტიკური ჭკუა ესწავლებინა. მაგრამ ამ სხვის ოჯახში ავადმყოფთა ძიების დროს, მას თვალიდან გამოეპარა საკუთარი ავადმყოფი, რომელიც სხვებზე უფრო საშიხელი სენით ყოფილა დაავადმყოფებული.

ვენის ინტერნაციონალი დღეს დიდ იდეოლოგიურსა და ტაქტიკურს კრიზისს განიცდის. მისი შემადგენელი ნაწილები დაშორდნენ სახელმძღვანელო პრინციპებსა და თავშეუკავებლივ მიექანებიან რეფორმისტებთან შესაერთებლად, თავიანთი ძველი მფარველი მთლიანი ოჯახის ღალადგენით ოპორტუნისტულ პარტიებთან.

ეს არ არის მარტო ტაქტიკური კრიზისი, უბრალო პროგრამული გაუკუღმართება. აქ უმძიმესი იდეოლოგიური კრიზისი მოსჩანს, რომელიც ყოველი პარტიის საფუძველს უნდა ჩაითვალოს. მთელი დამოუკიდებელი პარტიები დღეს დაავადმყოფებულნი არიან იდეოლოგიურად, მათ შემეცნებასა და პროგრამულ დებულებებში გამანადგურებელი შხამი აღმოჩნდა, რომელიც შეუძლებლად ხდის ამ ორგანიზაციების დამოუკიდებელს არსებობას,

როგორც 1914 წელში მეორე ინტერნაციონალის არსებობას პირველმა გერმანიის სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ ჩასცა გამანადგურებელი მახვილი და მისი არსებობა შეუძლებელი გახადა, ისე დღესაც ორნახევარი ინტერნაციონალის არსებობას პირველი გამანადგურებელი მახვილი გერმანიის დამოუკიდებელ პარტიისაგან მოხვდა. როგორც მეორე ინტერნაციონალში გერმანიის სოც.-დემოკრატია შეადგენდა გაბატონებულს პარტიასა და ის აძლევდა იდეურსა და ტაქტიკურს შინაარსს ამ ორგანიზაციის პროგრამას, ისე ორნახევარ ინტერნაციონალის იდეური პატრონატი და უდიდესი ძალა იყო გერმანიის დამოუკიდებელი პარტია. ორივე ორგანიზაციაში გერმანიის პარტიები იყო გაბატონებული როგორც რიცხვობრივი სიდიდის, ისე იდეოლოგიური უპირატესობის მხრითაც. ამიტომ ამ პარტიების ტაქტიკურს ნაბიჯსა და მოქმედებას ყოველთვის შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა ინტერნაციონალების არსებობასა და მათი წარმატების საქმეში.

დღეს გერმანიის დამოუკიდებელმა პარტიამ, რომელიც ვენის ინტერნაციონალის ერთს უდიდეს სექციას წარმოადგენს, ხმის დიდი უმეტესობით დაადგინა შეუერთდეს რეფორმისტულს პარტიას და ამით თავისი დამოუკიდებელი არსებობა საეჭვოდ გახადა ყველასათვის. მაგრამ ამ დადგენილებით

## „სამართლიანი და სწრაფი სასამართლო“.

**ლონდონი.** ინგლისის უმაღლეს სასამართლოში შემოვიდა საჩივარი იმ მსაჯულზე, რომელმაც ჩამოხრჩობის სახით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მარშალ ვილსონის მკვლელებს და რომელმაც არ მისცა ნება ერთ-ერთ ბრალდებულს წაეკითხა მოსამართლისათვის წერილობითი დეკლარაცია, რაც ააშკარავებდა მკვლელობის მოტივებს. საჩივარში ხაზი აქვს გასმული, რომ მსაჯული მოიქცა კანონის წინააღმდეგ, ვინაიდან გამოაქვეყნება ბოროტმოქმედების მოტივებისა, არის უფლება, ყოველივე ბრალდებულისა. ამის და მიუხედავად, უმაღლესმა სასამართლომ თავის ვერდიქტში იცნო მოსამართლის მოქმედება სრულიად სამართლიანად და ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მოსამართლე „ვალდებული იყო არ დაეშვა ამაღელვებელი და გამოუსადეგარი განცხადებანი“.

„დეილი ჰერალდი“ გამოსთქვამს რა მწუხარებას ვილსონის სიკვდილის შესახებ, იმავე დროს ფიქრობს, რომ ირლანდიის რევოლიუციონერების დასჯა იქნებოდა ახალი დანაშაული და მხოლოდ გამწვავებას შეიტანდა ირლანდიის და ინგლისის დამოკიდებულებაში.

### გედის დასაფლავება.

ჟიულ გედის დასაფლავება, რომელიც გარდაიცვალა პარიზში, განირჩეოდა განსაკუთრებული სიდიადით და ჩატარდა მრავალ-რიცხოვანი ხალხის დასწრებით, დასაფლავებაზე მონაწილეობა მიიღო 40,000 მუშამ. ამ შემთხვევის გამო, სპეციალურად დადგმულ ესტრადიდან მუშა ორატორები მოითხოვდნენ პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას, იმპერიალისტური პოლიტიკის შეწყვეტას და შავი ზღვის ფლოტის გმირის მარტის განთავისუფლებას, დასაფლავების შემდეგ გაიმართა დემონსტრაციები. პოლიციის ჩარევამ გამოიწვია სისხლიანი შეტაკება, ბევრი მუშა, რამოდენიმე ქალი და ბავშვი დაჭრილა. 9 კაცი დაიჭირეს.

### კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საქმეების შესახებ

**კონსტანტინოპოლი 25 ივლისი.** კონსტანტინოპოლის მთავრობის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო ევროპაში მყოფი თავიანთი წარმომადგენლებისაგან მთელი რიგი მოხსენებანი დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების შესახებ ახლო აღმოსავლეთის საქმეთა კონფერენციის მოწვევის გამო. კონსტანტინოპოლში მყოფი ანგორის მთავრობის წარმომადგენელი გამიდ-ბეი იტყობინება, რომ თუ კონფერენციის მოწვევის ადგილად არჩეული იქმნება იზმიდი, მაშინ მუსტაფა-ქემალი გაემგზავრება იქ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

### ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის კონგრესი.

**კონსტანტინოპოლი.** 25 ივლისი. ოსმალეთის კომუნისტური პარტია 15 აგვისტოს იწვევს ანგორაში კონგრეს, რომელზედაც განიხილავენ პარტიის მოქმედების გაძლიერების საკითხს. კონგრესი აირჩევს ოსმალეთის დელეგატებს კომინტერნის მე 4 ყრილობაზე, რომელიც გაიმართება მოსკოვში სექტემბერში.

### ენვერ ფაშა.

**კონსტანტინოპოლი.** 26 ივლისი. ოსმალური გაზ. „ილდერი“ ეხება რა ენვერ ფაშას მოღვაწეობას, ამბობს, რომ ენვერი იღებს სხვა და სხვა ცვლილებას: ის არის პანისლამისტური ოსმალეთში, ბოლშევიკი რუსეთში და ანტი-ბოლშევიკი ბუხარაში. რისთვის არ არსებობს არავითარი განსხვავება ნაციონალიზმისა და რელიგიის ატეიზმის, კონსერვატიზმის და ლიბერალიზმის პრინციპების შორის.

### მონარქისტები ბავარიაში

**პარიზი.** გაზეთ „ტანის“ მიუნხენის კორესპონდენტი გვიხატავს ბავარიის მონარქისტულ მოძრაობის სურათს. ეს მოძრაობა დიდი ხნიდან ემზადებოდა და მას არავინ არ უნდა გაეკვირვებინა. ხინგაუში, ამ ქამად ცხოვრობს ვიტენსბახების ჩამოგდებული დინასტიის წარმომადგენლები, აშკარად მოუწოდებდენ მეფის ხელისუფლების აღდგენისაკენ. ყოფილმა პრემიერმა კარხმა მრავალ რიცხოვან კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შემდეგნაირად გათავდა:

„გაუმარჯოს მეფე რუპრეხტს“. 28 ივლისი გამოცხადებული იყო კონტრ-რევოლიუციის დღეთ. აშკარათ ურიგებდენ იარაღს სოფლის მცხოვრებლებს და აშკარად ლაპარაკობდენ „მართლმეს ღამის შესახებ“ ყველა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც შემჩნეული იყვნენ 1918 წ. 7 იანვრის რევოლიუციის ხელის შეწყობაში, მაგრამ რეაქციონერები შესცდენ, არ იანგარიშეს რესპუბლიკანურ ბურჟუაზიის და მუშების საწინააღმდეგო ძალები, რომელთაც თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დაანახვეს მათ, რომ რეაქციას არაფერზე დაყრდნობა არ შეუძლია არა მარტო ბავარიაში, არამედ მთელ გერმანიაში. პრეზიდენტ ებერტის მიერ მიღებულმა ზომებმა ჩაშალეს ეგრედ წოდებული ორგანიზაციის გეგმები, რომელსაც განზრახული ქონდა ვერსალის მრავალრიცხოვან კრებების სახით, მოეხდინა თავიანთი მომხრეების მობილიზაცია. უკანასკნელ წუთებში რეაქციამ გამოიჩინა მერყეობა. პატრიოტულ ორგანიზაციის კავშირის ცენტრალურ სამმართველოში და მართა დიდი კრება ცნობილ „ორგეშის“ მეთაურის ეშერიხის თავმჯდომარეობით. ჩრდილოეთიდან ჩამოსული უმაღლესი სამხედრო პირები დაჟინებით მოითხოვდენ მოქმედებას, მაგრამ ხელახლა შეხვდენ ბავარიის მრეწველთა ოპოზიციას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „საპროტესტო კრება აღარ შესდგება“. მიუნხენში დიდ მინდორზე ბავარიის ქანდაკების წინ, სადაც 1918 წ. 7 ნოემბერს ეისნერმა გამოაცხადა რევოლიუცია, გაიმართა მრავალრიცხოვანი მშვიდობიანი დემონსტრაცია რესპუბლიკის სასარგებლოდ. დემონსტრაციაზე მოსულმა მონარქისტებმა არავითარი კონტრ-გამოსვლები არ მოახდინეს მაგრამ მეორე დღეს შეიკრიბენ მიუნხენის ცენტრში, მეფის მოედანზე, ლურჯ-თეთრი სამეფო დროშებით.

## ახალი ამბები

— **ანგარიშების წარმოდგენა.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სამეურნეო სახ. კომისარიატებს წარუდგინოს საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ვრცელი მოხსენება კომისარიატების მოღვაწეობის და საერთოდ მათი მდგომარეობის შესახებ, და აგრეთვე მომავალშიაც წარმოადგინონ ასეთები ყოველ თვიურად.

— **სახ. განათლების კომისარიატის შუამდგომლობა.** სახ. განათლების კომისარიატის მიერ აღძრულია შუამდგომლობა სახ. კომისარიატის საბჭოს წინაშე სამი მილიარდი მანეთის სესხის მიცემის შესახებ, მომავალ სამოსწავლო ნივთების დასამზადებლად. სახ. განათლების კომისარიატი დააბრუნებს აღნიშნულ სესხს სახელმწიფო ხაზინაში მიმდინარე წლის უკანასკნელ თვეებში დამზადებულ სახელმძღვანელოების რეალიზაციის შემდეგ.

— **დეკრეტის პროექტი.** იუსტიციის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა და წარუდგინა სახ. კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დეკრეტის პროექტი ბინებიდან მცხოვრებთა თვითნებობით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გადასახლებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. პროექტის თანახმად, თანამდებობის პირნი, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან მცხოვრებთა თვითნებობით გადასახლებაში, დაისჯებიან სასამართლოს მიერ, ხოლო მუშების და მოსამსახურეების გადასახლებისათვის თანამდებობის პირნი დასჯილი იქნებიან 6 თვის დაპატიმრებით ან თანამდებობიდან გადაყენებით, ხოლო კერძო პირნი 6 თვის იძულებითი სამუშაოზე გაგზავნით ან 300 მან. (ოქროთი) დაჯარიმებით.

— **კახეთის რკინის გზა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო შუამდგომლობს საკავ. და სახ. კომისარ[illegible]ბლიკის ხარჯზე, მის[illegible] 31.250 შპალის მიცემის შესახებ, კახეთის რკინის გზის საჭიროებისათვის, რის სამაგიეროდ სამმართველო აღუთქვამს დააწესოს საქონლის გადატანაზე შეღავათიანი ტარიფი აღნიშნულ შპალეის საფასურის კვალობაზე.

— **აღ. საქ. რევტრიბუნალი** ა. წ. 17 აგვისტოს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის სესიის სხდომა მიევლინება ქ. გორში საქმეების გასარჩევათ, სადაც დაჰყობს ა. წ. 20 აგვისტომდი.

— **მიწის ძვრა.** საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 13 აგვისტოს დილის 3 საათზე (ადგილობრივ დროთი) აღნიშნულია უძლიერესი მიწის ძვრა ტფილისიდან 1700 კილომეტრის მანძილზე. მიმართულება გაურკვეველია. ალბათ განმეორებაა 11 აგვისტოს ყოფილ მიწის ძვრისა.

## სამხატვრო ქრონიკა

**ახალი წიგნი.** იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა პროფ. უზნაძის წიგნი „პირველ ყოფილი კულტურის ისტორია“, მეორე გამოცემის დაკვეთა შეიძლება „ჩვენი მერანის“ გამომცემლობაში, ერევნის მოედანი, ამხანაგის სახლი.

## ბავშვთა ქალაქი — კოჯორი

ს. კოჯრისკენ.

ხშირად მიხდება კოჯრის მიდამოებში მოგზაურობა, ვინაიდან შევარდენთა კავშირი ზაფხულის თვეებში სავსებით აცნობს ტფილელ შევარდნებს კოჯრის მთელ მიდამოებს: თვით კოჯორი თავის ქეროლლით, უძოს მთა თავის ეკლესიით. ოქროყანა—წავკისი, ტაბახმელა და კობერის მონასტერი, კიკეთის ახალშენი და სხ. მრავალი. მაგრამ შევარდნებთან ერთად ყოფნის დროს ვერ მოვახერხე გაცნობოდი კოჯორში არსებულ საბავშვო სახლებს და ახალშენებს, რომელიც მოწყობილი აქვს განათლების კომისარიატს, ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილებას, პროფკავშირებს, [illegible] წარმომადგენლებს და სხ.

გასულ შაბათს, როდესაც დასრულდა სამსახურის საათები, მოვეკიდე ჩემი ჩანთა დღინახვევრის საზომით და შევარდნულ ტანსაცმელში გავუდექი კოჯრისაკენ. შევარდნულ წესისამებრ, გავცილდი თუ არა სოლოლაკს, გავიძრე ხალათი, წინდები და ფეხსაცმელები და მზის სხივებით და სადამოს სითით განებივრებული ავედი ბილიკით წყაროს ხევით. მრავალი ხალხი მიიწევს კოჯრისაკენ ფეხით, ბევრი მიემგზავრება ავტომობილებით. თითქმის ზედიზედ მიდის ავტომობილები სამგზავრო და ტვირთის, თუმცა ერთიც და მეორეც მიაქანებს კოჯრისაკენ როგორც მგზავრებს, აგრეთვე ტვირთს. ის, ვინც მიდის ავტომობილით, მიიმართება ტაბახმელისაკენ, საიდაც უხვევს შარა გზა, მხოლოდ ფეხით მიმავალთ აუღიათ სვლიგეზი სოფ. წავკისზე, საიდაც გზა ცხრა ვერსით იჭრება და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ სოლოლაკიდან გასული ავტომობილი და ფეხით მოსიარულე თითქმის ერთ და იმავე დროს უნდებიან კოჯრამდის ასვლას.

ხალისით მიდიხარ, როდესაც გზაზე უსწრებ მრავალ ხალხს; მიდიან ჯგუფ-ჯგუფად, მიდიან თითო-ოროლა.

მგზავრ მარჯვნით ოქროყანა, მარცხნით მოშორებით ტაბახმელა, პირდაპირ კოჯრის ქედი და უძო.

თანდათანობით უახლოვდებით კოჯრის მთას, რომლის ძირშიც გაშლილა სოფელი წავკისი. წავკისელები უკვე მიჩვეული არიან კოჯრისაკენ მიმავალ ხალხს, მათ არ ეუცხოვებათ არც შევარდენთა ჩაცმულობა, არც მათი სიშიშვლე. „შეხე, შეხე შევარდენი მოდის“— ისმის აქა იქ. წავკისის წყარო ძალაუნებურად შეგაჩერებთ, ვინაიდან ტფილისიდან წყარომდის არის ხუთი ვერსი და წყაროდან კოჯრამდის კიდევ ორი ვერსი, მაგრამ უკვე ძლიერი აღმართი, რაც არის სწორედ იმის მიზეზი, რომ წავკისთან 10—15 წუთი შეჩერდეთ. წყაროს ცივი წყლით შეგრილებული განაგრძობ გზას. შესასვენებლად გზაზე თითო ოროლა წუთს შეჩერდები და გადმოხედავ ტფილისს, რომელიც ლამაზად დაფენილა მტკვრის გაღმა-გამოღმა. მტკვარი კი ზოლივით მოჩანს და უფრო ლამაზია ის უკვე ქალაქ გარეთ, სადაც გაშლილ ცარიელ ველის მიდამოში, როგორც ვერცხლი, ისე ბრწყინავს. შესცქერი მახათის გორას, საგურამოს მთებს, ყარაიას ველს, კახეთის შესავალ მიდამოებს და ნასიამოვნები მობრუნდები და განაგრძობ გზას კოჯრის მთისკენ. ავდივართ შარა გზაზე, რომელსაც დაცილებული ვიყავით ოთხი ვერსის მანძილის გზის გამავლობაში. შორიდან ჩვენი ნაცნობები ავტომობილები. შიგ ნაცნობებიც ბევრია. აქ უკვე ნამდვილი შეჯიბრი იწყება. ავტომობილ

---

დამოუკიდებელმა პარტიამ არა მარტო თავის დამოუკიდებლობას გამოუცხადა ომი, არამედ თვით ვენის ინტერნაციონალსაც გამოუთხარა არსებობის საფუძვლები და საშუალებაზე გამოიტანა ის სენი, რომლითაც დაავადებულნი არიან დამოუკიდებელი პარტიები მთელს მსოფლიოში.

რას ნიშნავს პოლიტიკურად ს.-დემოკრატიულ პარტიასთან დამოუკიდებელთა გაერთიანება? არის თუ არა ეს კაპიტულაცია უკანასკნელი პარტიისა პირველის წინაშე?

როგორც ვიცით, დღეს თითქმის მთელს მსოფლიოში ს.-დემოკრატიული და ოპორტუნისტული სოციალისტური პარტიები პოლიტიკურ კონტაქტში არიან ბურჟუაზიასთან. მეორე ინტერნაციონალის წევრებმა უდიდესი ღვაწლი დასდვეს კაპიტალისტურ ქვეყნებს იმ მხრივ, რომ თავიანთი იდეური და რეალური ძალების დახმარებით ევროპის მთელს კონტინენტზე ჩაახშვეს რევოლიუციონური მოძრაობა და პოლიტიკური ბატონ-უფლება ხელახლად შეუნარჩუნეს ბურჟუაზიას. ერთი მთავარი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო დამოუკიდებელ პარტიების გამოყოფას და ვენის ინტერნაციონალის ჩამოყალიბებას იყო ის, რომ დამოუკიდებლებს არ სწამდათ მენშევიკების დღევანდელი ტაქტიკა, მათი დამოკიდებულება სოციალურ რევოლიუციისადმი,—ერთი სიტყვით მთელი მათი პრაქტიკული მოქმედების გეგმები. ამიტომ მათ აირჩიეს საკუთარი ორგანიზაციის დაარსება. მაგრამ ცხადია, რომ მეორე და ვენის ინტერნაციონალებს შორის დიდი წონის პრინციპიალურ სხვა და სხვაობას ჰქონდა ადგილი მთის შეგნებით, რაც ხელს უშლიდა მათ გაერთიანებას. როდესაც ბერლინის სამი ინტერნაციონალის კონფერენციის წინა დღეებში დაისვა საკითხი მეორე ინტერნაციონალის არა მარტო დახლოვებისა, არამედ გაერთიანებისაც, ვენის ინტერნაციონალმა საკითხი სწორედ პრინციპიალურ ნიადაგზედ გადამოიტანა და თავის რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ ამ ორ ინტერნაციონალს შორის არ არსებობს პრინციპების ერთნაირობა და ამიტომ გაერთიანებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება. რეზოლიუცია ამბობდა:

„ეს ერთი და იგივეობა ძირითად კითხვებში კი მიღწეული არაა. და სანამ არსებობს ეს წინააღმდეგობა (პრინციპების) და სანამ ზოგიერთი პარტიები, რომელნიც მე-2-ე ინტერნაციონალში შედიან, არ გაიზიარებენ უფრო ნათელი იდეებით სოციალური რევოლიუციის პირობებისა და შესაძლებლობის შესახებ, პროლეტარული ინტერნაციონალის მთლიანობა ჰაერში იქნება ჩამოკიდებული. კავშირი, რომელიც არ დაემყარება ძირითად პრინციპების ერთნაირობას, გაერთიანებული იქნება მხოლოდ ფორმალურად, გარეგნულად და არ ექნება შეძლება რაიმე გადაწყვიტოს ან იმოქმედოს. (რეზოლიუცია მოყვანილია „თავისუფალ საქართველოს“ № 19).

ვენის ინტერნაციონალის რეზოლიუციის ეს პრინციპიალური მოსაზრებანი ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ სავსებით ძირითადი და სწორია. და როდესაც ხდება ორი სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიის გაერთიანება, ასეთს აქტს სავალდებულოდ უნდა დაედვას სწორედ ძირითადი პრინციპების ერთნაირობა. რეზოლიუციის მიხედვით, მეორესა და ორ ნახევარ ინტერნაციონალებს შორის ძირითადი პრინციპების სხვა და სხვაობა არსებობს და მათი გაერთიანება ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება.

დღეს გერმანიის დამოუკიდებელმა პარტიამ დაადგინა შეუერთდეს ს.-დემოკრატიულს პარტიას, ასეთ შემთხვევაში კითხვა იბადება: შესძლეს მათ ძირითადი პრინციპების ერთნაირობის გამონახვა და რომელმა მათგანმა დაარღვია და უღალატა თავის ძველს პრინციპებს? ხოლო თუ ს.-დემოკრატიული პარტია „გაიმსჭვალა ნათელ იდეებით სოციალური რევოლიუციის პირობებისა და შესაძლებლობის შესახებ“ და ხელი აიღო თავის პროგრამაზე?

ვინც თვალყურს ადევნებს გერმანიის თანამედროვე პირობებს და იმ მომენტს, რომელშიაც ხდება ეს გაერთიანება,—ის დაგვეთანხმება, რომ არავითარს ამის მსგავს ადგილი არ აქვს ს.-დემოკრატიული პარტიის მხრივ. შეიდემანების და დავიდების პარტია, მიუხედავად პირობების გამწვავებისა გერმანიაში, რამაც გამოაშკარავა მათი ტაქტიკის სრული უვარგისობა,—კვლავ განაგრძობენ ძველის გზის სიარულსა და ბურჟუაზიასთან პოლიტიკურს კონტაქტში არიან. ისინი კვლავ ძველებურად ეხმარებიან ბურჟუაზიულს პარტიებს თავიანთი ძალ-ღონით და ამაგრებენ რესპუბლიკას განსაკუთრებით მემარცხენეთა საფრთხისაგან. ასეთს შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ თუ ვინმემ აიღო ხელი თავის პრინციპებზე, ისევ დამოუკიდებლებმა და ამ გზით შეიქმნა შესაძლებელი მათი გაერთიანება. დამოუკიდებლები უმთავრესად იმიტომ ებრძოდენ მენშევიკებს, რომ ისინი არ არიან ნათელი თვისებით გამსჭვალული სოციალურ რევოლიუციის შესახებ, მათ შორის პრინციპიალური სხვა და სხვაობა არსებობს. დღეს ეს პარტია თითქმის მთელი თავისი ხელმძღვანელებით ჩაჯდა მენშევიკების გემში და ამით მათ სავსებით შეითვისეს უკანასკნელის სამოქმედო პროგრამა. მენშევიკები ვერ სცილდებიან ბურჟუაზიულ პარტიებს და მათთან კოალიციაში არიან. დამოუკიდებლები მენშევიკებს აეკიდნენ და მათთან ჩასხდნენ გემში, ამით მათ პოლიტიკური კონტაქტი გააბეს ბურჟუაზიასთან და ძალა-უფლების საქმეს ეპოტინებიან. მენშევიკები ამ შემთხვევაში ერთგვარ ფოკუსის როლს თამაშობს: ის სცდილობს შეათანხმოს ბურჟუაზიულ და დამოუკიდებელთა პარტიებთან და თვით შეიქმნეს საფუძველი ამ შეთანხმებისა. როგორც ვიცით, დამოუკიდებელთა პარტია თანახმა არის კოალიციონურს მთავრობაში შევიდეს და ბურჟუაზიასთან ერთად მართოს გერმანიის საქმეები.

გერმანიის სინამდვილემ და რევოლიუციის ინტერესებმა საჭიროებამ მოითხოვა პროლეტარიატის ფრონტის გაერთიანება, სოციალისტური კოალიციის შექმნა. გერმანიის ხსნა და მშრომელი მასის ინტერესების დაცვა შესაძლებელი არის მხოლოდ მუშათა მთავრობის შექმნის გზით. ეს ნათლად შეიგნო გერმანიის მუშათა კლასმა მთელს რიგს რაიონებსა და ქალაქებში გაერთიანებული ფრონტის იდეებით გამოდის. საკანტროლო კომისიების შექმნა მუშათა მხრით, ამის ნათელი დამამტკიცებელია. ეს გარემოება ესმის მუშათა კლასს და იგი თავის შესაფერისი ლოზუნგით გამოდის, მაგრამ ეს გარემოება არ ესმით დამოუკიდებლებს და ამიტომ მათ ერთხელ კიდევ შეაქციეს ზურგი მუშათა კლასის ინტერესებს და ვგონებ სამუდამოდ გადასახლდნენ ბურჟუაზიის ბანაკში.

თუ ჩვენ შევაფერებთ პოლიტიკურს დასკვნებს გაუკეთებთ დამოუკიდებელთა დღევანდელს ნაბიჯს, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ეს არის სრული კაპიტულაცია ამ პარტიისა ბურჟუაზიის წინაშე და მისი პოლიტიკური სიკვდილი. ბურჟუაზიასთან კოალიციაში შესვლით, მათ სამუდამოდ დაჰმარხეს „სოციალური რევოლიუციის პირობებისა და შესაძლებლობის შესახებ ნათელი იდეებით გამსჭვალვა“ და სავსებით შეითვისეს მენშევიკური პოლიტიკის პროგრამა. გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია მოიკლა პოლიტიკურად ამ ნაბიჯით. ჩვენ ვიცით, რომ ეს პარტია დიდი ხნია განიცდიდა სასიკვდილო აგონიასა და დღევანდელმა მისმა ნაბიჯმა მხოლოდ სინათლეზედ გამოიტანა ყველა ის ავადმყოფობანი, რომლითაც დაავადებული იყო ეს პარტია.

ამ ავადმყოფობათა შესახებ კი საჭიროა უფრო ვრცლად მოლაპარაკება.

ხარიტ. ჩუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

უხდება შარა გზით მიხვევ-მოხვევა, ჩვენ კი ვსჭრით შარა გზას და პირდაპირ ავდივართ. შარა გზაზე კოჯრიდან გამოსულან მოაგარაკენი, ელოდებიან ნაცნობებს, ნათესავებს.

ვხედავ რომ შევარდნული სიშიშვლე ეროთირება შარა გზაზე გამოსულ მოაგარაკეებს. საკვირველი მოვლენაა, მოქალაქე ქალაქში აღზრდილი ვერ შეჩვეული ტანის სილამაზეს, ვერ შეჩვეულა საერთოდ არამც თუ სიშიშვლეს, თვით შევარდნულ ლამაზს, სადა, უბრალო ტანსაცმელსაც კი, სოფლელები კი უმალ ეჩვევიან, ეთვისებიან შევარდნებსაც, შევარდნულ ყოველმხრივ სიმშვენიერესაც. ნუ თუ ეს არ არის მიზეზი იმისა რომ ბავშებს და უმთავრესად მოზრდილებს როგორი შეჯახება უხდებად მშობლებთან სწორედ ამ ნიადაგზე, მშობლებთან რომელნიც ვერ შეთვისებიან და ვერც შეუთვისდებიან ისე ადვილად შევარდნულ სულისკვეთებას. მაგრამ ჩვენ მაინც იმედიანად შევსცქერით ჩვენ ახალგაზრდობას, რომელნიც შევარდენით სცოცხლობენ. განა თვით კოჯორი ამის მაჩვენებელი არ არის, კოჯორი თავის ბავშთა ახალშენებით და ახალშენები თავის პაწია და მოზრდილ ბავშებით?

ჩავიცვი ჩემი შევარდნული ხალათი და შევედი კოჯორის საგარაკო ადგილებში. კარგია კოჯორი, კარგია თავის გაშლილ მიდამოებით, მთებით და ტყეებით, მიდამოთა სანახაობით. აპა ქოროღლის ციხე, რომელიც მედიდურად და სიამაყით გადმოსცქერის კოჯორს და გადასცქერს აგრეთვე მთელ ტფილისს მის მიდამოებით, მასთანვე მთელ ბორჩალოს. აგერ მარცხნით შორს თელეთის ქედის იქით ტაბახმელის მიმართულებით კუმისის ტბა—ეს უდიდესი ტბა შედარებით სხვა ტბებთან, რომელნიც არის ტფილისის მიდამოებში.

გულით და სულით სტკბება, ისვენებს ადამიანი, როდესაც კოჯორში მყოფი გადასცქერის ყოველივე ამას და ისიც იმ კარგ ჰაერში რომლითაც მოცულია კოჯორის არე-მარე, გრილი სიო, თითქმის სიცივე, სავსებით გაშორებთ ტფილისს, მის მტვერიან ქუჩებს, მის აუტანელ სიცხეს. სულ რამოდენიმე ვერსით დაცილებული ტფილისს, თქვენ სავსებით ხდებით მონა იმ ჰაერის, იმ სილამაზის, რომლითაც ირგვლივ მოცულია კოჯორი.

ავტომობილთა ხმაური, რომელიც ერთგვარ არღვევს კოჯრის მიდამოთა იდუმალობას, იწვევს მთელ მოაგარაკეთა გამოფენას ზემო შარა გზაზე, საითკენაც მოდის დიდი და პატარა, ბავშები თავის ხელმძღვანელობით, ახალშენებიდან გამოსულან ნაცნობების შესახვედრად. აგერ ჩვენი ნაცნობი შევარდენი ნინო, რომელსაც მოჰყავს ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მეშვიდე ბავშთა სახლის ბავშები. ისჩის ბავშების ყიჟინა, სიმხიარულე. ავტომობილის გამოქროლება იწვევს მათში აღტაცებას, ჟრიამულს. კოჯორი—ეს ბავშთა სამეფოა, ბავშთა ქალაქი. და ამ შემთხვევაში მთავრობის გადაწყვეტილება კოჯორის აგარაკის ბავშთა ქალაქათ გარდაქმნა ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ერის ცხოვრებაში. მაგრამ ამაზე შემდეგ.

**ხახა ახლანიშვილი.**

## პროვინციის ცხოვრება

**ლოტარია დამშეულთა სასარგებლოთ.** ქუთაისში შესდგა განსაკუთრებულ ქვეკომისია ლოტარიის გასამართავად დამშეულთა სასარგებლოდ. კომისია შეუდგა ბილეთების გასაღებას მაზრებში.

**ახალ-სენაკი.** ახალსენაკის სამაზრო აღმასკომი მთელ მაზრაში აწარმოებს შინაურ სამეურნეობო კამპანიას. აღმასკომმა დაგზავნა თემებში 12 პასუხისმგებელი ამხანაგი. თითეულს ჩააბარეს სამ-სამი თემი. კამპანია ეხება: გზატკეცილების და ხიდების შეკეთებას, სკოლის შენობების წესრიგში მოყვანას (სადაც შესაძლებელი იქნება ახალის აშენებასაც) სამკითხველოების და აღმასკომის შენობათა აგებას, ზამთრისათვის საბჭოთა დაწესებულებებისა და სკოლებისათვის შეშის მომარაგებას:

**ბათუმი.** კომუნალურ სახლების სამმართველოს სექციამ მოახდინა კონფისკაციით და მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ სახლების, სავაჭროების, საწყობების და სხვათა აღრიცხვა. აღრიცხვის თანახმად, კომუნალური მეურნეობის განყოფილების განკარგულებაში იმყოფება 96 მუნიციპალიზაციით ჩამორთმეული სახლი, 8 სასტუმრო, 8 სახლი ავეჯით მორთული ოთახებით, 8 სათეატრო და კინოს შენობა და 6 აბანო.

**ბათუმის ნავთსადგურში.** 7 აგვისტოს ნავთსადგურში შემოვიდა 6 გემი, მათ შორის იტალიის გემი „კორნარო", რომელმაც მოიტანა 12 ტონა სხვა და სხვა ტვირთი,

### აფხაზეთი

**დედობის და ბავშვობის დაცვა.** დედობისა და ბავშვობის დაცვის სფეროში სოხუმის კომიტეტის ქალთა განყოფილების მიერ. გაკეთებულია შემდეგი: მოწყობილია საბავშვო სახლი, რომელიც ბავშვების მოვლის, საზრდოობის და ბავშვთა ჩაცმის დახურვის მხრივ სავსებით დაკმაყოფილებულია, საბჭოთა საავადმყოფოში გამოყოფილია ბავშვებისათვის სპეციალური ოთახები, სპეციალური მოვლით და მოწყობილობით.

ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას კონსტიტუცია, სადაც დედებს მიეცემათ საექიმო დარიგებანი ძუძუ მწოვარ ბავშთა მოვლის შესახებ. მიღებულია ზომები სოხუმში ბავშთა მოედანის გასაშენებლად, რისთვისაც განზრახულია ქალაქის ბაღის გამოყენება, რომელიც დღეს არავითარ სარგებელს არ იძლევა იმ დროს, როდესაც მუშების მოზარდი ბავშვები, ზაფხულის კანიკულებზე დედების სამუშაოზე ყოფნის დროს სრულიად უყურადღებოთ არიან დატოვებულნი. დედობისა და ბავშვობის დაცვის განყოფილებას განზრახული აქვს გამონახოს საშუალება კონსულტაციასთან რძის სამზარეულოს („რძის წვეთი") და დედების და ბავშვების სახლის გახსნისათვის, სადაც მუშა ქალს შეძლება ექნება ისარგებლოს დასვენებით მშობიარეობის წინ და შეისწავლოს ძუძუმწოვარა ბავშვების მოვლა.

## ბათუმიდან გვწერენ

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ბათომში მყოფ ოსმალეთის კონსულს, ოსმალეთიდან წერილი მოსვლია ოსმალეთის სამხედრო გენერალ მუსტაფა ფაშისაგან ასეთი დავალება ქონია.

ეს ფაშა სთხოვს კონსულს, რომ ჩვენთვის საჭირო არის ოცი ახალგაზრდა კაცი ქართველი მაჰმადიანთა, რომელთაც კარგად უნდა იცოდნენ ოსმალური და რუსული ენები.

ამიტომ გთხოვთ, რომ ასეთი ახალგაზრდა კაცები შეაგროვოთ და გამოგვიგზავნოთ ოსმალეთში. აქ ჩვენ მათ კარგს ჯამაგირს მივსცემთ და კარგს სამსახურსაც მივანდობთ.

ეს ცნობა შევიტყვეთ და ის კი არ ვიცით, თუ კონსულმა როგორ შეასრულა ეს დავალება, შეაგროვა მართლა ასეთი შვილები ქართველ მაჰმადიანებში თუ არა? ამისი არავინ არაფერი იცის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გარემოებას აჭარისტანის მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და ასეთ დავალებას ისე მოეპყრობა, როგორც მათი აჭარისტანის მთავრობის ინტერესები მოითხოვს და არა ისე, როგორც ეს ოსმალეთის რომელიმე ფაშას ეინტერესება.

ასეთ მოსამსახურე ქართველ მაჰმადიანთ შვილებზე ამბობს ილია ჭავჭავაძე ლექს „იანიჩარში" შემდეგ სიტყვებს:

„შენ რაა, რომ ამშვენებ,
შენს დამლუპველ ოსმალეთსა".

ზ. ჭიჭინაძე

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დ ე კ რ ე ტ ი № 8.**

**საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მოქალაქეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) ყოველი ქართველი, რომელსაც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის უფლება არ მიუღია, და

ბ) ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი მოქალაქე, რომელიც ამა დეკრეტის გამოცემამდე უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუდმივ სცხოვრობს საქართველოს მიწა-წყალზედ და აქვს რესპუბლიკაში რაიმე საქმე.

2. წინა მუხლის (ბ) პუნქტში მოხსენებულ პირს, უკეთუ მას 18 წელიწადი შესრულებია, უფლება ეძლევა ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა, განუცხადოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მას არ სურს დარჩეს საქართველოს მოქალაქედ.

3. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება აგრეთვე:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა,

ბ) შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ,

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა,

დ) უცხოელზე გათხოვილი და შემდეგ დაქვრივებული ან განქორწინებული საქართველოს ყოფილი მოქალაქე—ქალი, უკეთუ ის განაცხადებს რომ სურს კვლავ დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეობას; აღნიშნულ ქვრივის, ან განქორწინებული ქალის მცირეწლოვანი შვილი ჩაითვლება აგრეთვე საქართველოს მოქალაქედ;

ე) უცხოელთა მცირეწლოვანი შვილი, უკეთუ მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას.

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა-წყალზედ მცხოვრებ ყველა უცხოელს შეუძლიან მოიპოვოს ამ რესპუბლიკის მოქალაქის უფლება. ამისათვის მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს —ქალაქისას ან მაზრისას და წარუდგინოს მას: ა) თავისი ვინაობის დამამტკიცებელი საბუთები, ბ) ცნობა წლოვანობისა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, და აგრეთვე იმის თაობაზე, იყო თუ არა იგი სასამართლოს მიერ დევნილი საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და, თუ იყო, როდის, სად და რა მოქმედებისათვის.

5. მოთხოვნილების ვინაობა, უკეთუ მას წერილობითი საბუთები არ ექნება, დადასტურებულ უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეთა მიერ და შემოწმებულ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იმ წესით, როგორც ეს უკანასკნელი საჭიროდ სცნობს.

**შენიშვნა:** საქართველოს მოქალაქის უფლების მოსაპოებლად განზრახ ყალბ ცნობის წარმოდგენისათვის დამნაშავე მიცემულ იქნება პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც ყალბი ჩვენების მიმცემი და შეიძლება მას ჩამოერთვას მოპოვებული უფლებანი.

6. უკეთუ მთხოვნელის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების ახალი უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს; უკე თუ კომისარიატმა ორი თვის განმავლობაში არ აცნობა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ იგი თანახმა არ არის მისი დადგენილებისა, ეს დადგენილება კანონიერ ძალაში შედის, და აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს მთხოვნელს მოწმობას მის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლების მოპოების შესახებ.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი უცხოელი, რომელიც რესპუბლიკის გარეშე სცხოვრობს, იმ პირობით კი, რომ მან უნდა შეასრულოს ამა დეკრეტის 1-ლი მუხლის ყველა სხვა მოთხოვნილება. ამ პირმა განცხადება უნდა გაუგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უშუალოდ, ან და საქართველოს რესპუბლიკის საზღვარგარეთის ახლობელ დიპლომატიურ წარმომადგენლის შემწეობით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით სწარმოებს რეგისტრაცია და საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნება საქართველოს მოქალაქეებად მიღებულ უცხოელთა სიებისა, ხოლო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის შემწეობით ამის შესახებ უნდა ეცნობოს იმ უცხო სახელმწიფოს, რომლის ქვეშევრდომადაც ითვლებოდა წინად მოქალაქედ მიღებული პირი.

8. საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიღებს.

ბ) ვინც საქართველოს ხელისუფლებათა თანხმობის გარეშე უცხო სახელწწიფოს სამსახურში შევა, და

გ) საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც უცხო მოქალაქეს მითხოვდება.

9. იმ პირს, ვინც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა-წყალზე [illegible] საქართველოს [illegible] თავისი [illegible] ურთიერთობა უცხო სახელმწიფოსთან არ მოუსპია. უფლება არა აქვს თავის ინტერესების დასაცველად მიმართოს იმ სახელმწიფოს რომლის მოქალაქეთაც ის წინად ითვლებოდა.

10. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლ. აპრილის 25-ს თარიღისა და 29 №-ის დეკრეტი—საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების შესახებ—გაუქმებულია.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. მდივანი**. [illegible]

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხარაძე**.

1922 წ. აგვისტოს 11.

ტფილისი—სასახლე.

**რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია**
**გამომცემელი—მთავარი კომიტეტი**


# ამონაწერი

**ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან**

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით კონდიციით ძალით ვერის ბორანის მოიჯარადრე გამსვლელთ ახდევინებს 5.000 მანეთს გასვლა-გამოსვლაში.

12. მოიჯარადრე ვალდებულია გაანთავისუფლოს გადასახადისაგან მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის კაცები.

1) **შენიშვნა:** თუ გამსვლელი არ მოისურვებს უკან დაბრუნებას ერთი დღის განმავლობაში გამოსვლის ფული არ უბრუნდება და ის იხდის 5.000 მანეთს ერთ მგზავრობაზე.

2) **შენიშვნა:** ღამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება მოხდება შეთანხმებით, დილის 5 საათამდე.

6—6

# განცხადება

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო აცხადებს, რომ ხუთშაბათს 17 აგვისტოს, დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგ აბანოებზე:

1. აბანო აბრამაშვილისა . . . . ვერის დაღმართი
2. „ ანანოვის . . . . . . ფრეიროვის და მალაკნის ქ.
3. „ ედიგაროვის . . . . . ვარანცოვის ქ.
4. „ კარაჯევის . . . . . . ფრეიროვის ქ. № 5.
5. „ ჩითახოვის . . . . . . კახეთის ქ. № 5.
6. „ ნორსია . . . . . . . 19 თებერვლის ქ.
7. „ მურსაგულოვისა . . . . სუპსარქისის შეს.
8. „ ფანტაზია . . . . . . . ვორონცოვის ქ.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში, მე-50 ოთახი საჯარო მაგიდის გამგესთან.

№ 7.

4—3

ყველა დაწესებულებათა და მოქალაქეთა

# საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის საადგილ-მამულო განყოფილება უკვე შეუდგა სტნებიდან და ბაღებიდან (მანთაშევის ყოფ. ბაღი ორთაჭალაში და სიხარულიძის ყოფ. ბაღი საბურთალოში) ჭინახულის გაყიდვას.

ჭინახულის ფასები შედარებით ბაზრის საბითუმო ფასებთან ხუთიდან პროც. ნაკლებია (ცნობა სტატისტიკურ განყოფილების.

საადგილ-მამულო განყოფილებასთან ხელშეკრულებითი შეთანხმებაში შემსვლელთათვის . . . . . გადახდის საავანსო სისტემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განყოფილებაში 10—4 საათამდის, ოთახი № 52.

საადგილ-მამულო განყოფილება. № 8.

3—2

რადგან შაბათს ქალაქის აღმასკომის ქვორუმი არ შესდგა ამიტომ

# აღმასკომის სხდომა გადადებულ[illegible]

აგვისტოს 16-ს საღამოს 6 საათზე.

დღიური წესრიგი: 1. ქალაქის აღმასკომის მომავალი მუშაობის გეგმა.
2. დამტკიცება სავალდებულო დადგენილების საზღვარზედ საქონლის საძოვრის აკრძალვის შესახებ.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი: ხუნდაძე